



ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი
საქართველო



2019 წ

მერის მიმართვა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერება ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, ტურისტული, ისტორიული და კულტურული ობიექტები, რელიეფი და მისი სტრუქტურა, ტრადიციულად განვითარებული სოფლის მეურნეობის მიმართულებები (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ითვლებოდა საქართველოს პურის ბელად), მეწარმეობის დივერსიფიცირება, საინვესტიციო პოტენციალი, საგზაო ინფრასტრუქტურა და არსებული მუნიციპალური სერვისები იძლევა ეკონომიკურად გაძლიერების საფუძველს. შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორის აქტიური დიალოგი, თანამშრომლობის პრიორიტეტების სწორად შერჩევა და ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფა.

ევროკავშირის ინიციატივასთან „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ ხელმოწერით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ გამოთქვა სურვილი თანამშრომლობისა, რათა გავიზიაროთ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების გამოცდილება, აქტიურად ვითანამშრომლოთ კერძო და სამოქალაქო სექტორთან, ერთად დავგეგმოთ მომავალი ქმედებები, ეკონომიკურ ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, ადგილობრივ რესურსებსა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით, ქმედითი და პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდისათვის.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ძირითადი ნაწილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ამასთან გაწერილია ღონისძიებები სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით, სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით, ასევე ქმედებების ნაწილი დაგეგმილია დონორების მოძიების იმედად.

გამოვთქვამ მზადყოფნას პირადად ჩავერთო 2019-2021 წლების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. ასევე, ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ პირებს მოგიწოდებთ მაქსიმალური ჩართულობისაკენ, რათა ურთიერთთანამშრომლობით მივაღწიოთ საერთო მიზანს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერების, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

პატივისცემით,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი



ნიკოლოზ ჯანიაშვილი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ:

სახელი, გვარი: მალხაზ მერაბიშვილი

თანამდებობა: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო. მ. კოსტავას ქ. N 44.

ტელეფონი: 5 98 33 11 02

ელ-ფოსტა: malxaz.merabishvili76@gmail.com

ვებგვერდი: www.Dedoplistskaro.gov.ge

1. მოკლე შეჯამება

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP) მომზადებულია ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ (M4EG) ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორების მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარი ჩართულობით, რომლის ფარგლებშიც საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და მიდგომების საფუძველზე გამოვლენილ იქნა უმთავრესი ეკონომიკური აქტივობები, რაც საბოლოო ჯამში ხელი შეეწყოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმებას. ამ მიზნის განხორციელებას ხელს შეუწყობს ისეთი ფაქტორები როგორცაა მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, დაცული ტერიტორიების არსებობა, ტურისტების მზარდი ინტერესი და სხვა. გეგმის მიზანი გრძელვადიანი კეთილდღეობის მიღწევის ამოცანების განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. იგი ორიენტირებულია მხოლოდ ეკონომიკურ მიმართულებებზე.

ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანია ისეთი გამოწვევების დაძლევა, როგორცაა არასაკმარისად განვითარებული ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, სამუშაო ძალის მიგრაცია, ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებისა და ცნობიერების არასათანადო დონე.

სამუშაო ჯგუფთან და პარტნიორებთან ერთად შემუშავებული ხედვაა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი იქცეს მიმზიდველ ადგილად ინვესტიციების განსახორციელებლად, დასაქმებაზე ორიენტირებული, სწრაფად მზარდი მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკით. ამ ხედვის მისაღწევად დაისახა შემდეგი მიზნები:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესება;
2. ადგილობრივი ბიზნესისა და ინვესტორთა მომსახურების გაუმჯობესება;
3. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;

დასახული მიზნების მისაღწევად განისაზღვრა ისეთი ღონისძიებები, რომლის საშუალებითაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ცნობადობა, ინვესტორების დაინტერესება და მოზიდული ინვესტიციების რაოდენობა, გაუმჯობესდება ტურისტული გარემო, გაიზრდება ფინანსურ რესურსებზე წვდომა და განხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

გეგმაში გაწერილი ღონისძიებების განსახორციელებლად გათვალისწინებულია ჯამში 8 757 950 ლარი (2 766 435 ევრო), საიდანაც 62,5% დაფინანსდება მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტით, კერძო სექტორიდან - 20%, დონორი ორგანიზაციების მიერ - 17%, ხოლო წყვეტა დაფინანსებაში შეადგენს 0,5%. თითოეული პროექტი კონკრეტული, დროში გაწერილი, გაზომვადი და მიღწევადია.

2. სარჩევი

მერის მიმართვა.....	1
1. მოკლე შეჯამება.....	2
2. სარჩევი.....	3
3. დანართები და შემოკლებები.....	3
4. გეგმის შესავალი.....	4
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი	5
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი	5
6.1. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი	6
6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები	8
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია	9
6.4. წვდომა ფინანსებზე.....	10
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა.....	11
6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო	11
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა	12
6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	13
7. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი	14
8. ხედვა და მიზნები.....	16
9. სამოქმედო გეგმა	17
10. დაფინანსების სქემა	20
11. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა	22

3. დანართები და შემოკლებები

- დანართი - ა: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი;
- დანართი - ბ: ინფორმაცია და მონაცემები მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ანალიზისთვის;
- დანართი - გ: დიაგრამა - ეკონომიკური სტრუქტურა;
- დანართი - დ: დიაგრამა - დარგობრივი;
- დანართი - ე: ცხრილი - საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით;
- დანართი - ვ: ცხრილი - მზარდი სექტორები (ქვესექტორები) და მათი გამოწვევები;
- დანართი - ზ: ცხრილი - ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობები;
- დანართი - თ: ცხრილი - კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში;

შემოკლებები

- M4EG - მერები ეკონომიკური განვითარებისათვის;
- LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა;
- LAG - ადგილობრივი განვითარების ჯგუფი;
- SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები;
- ENPARD - საერთაშორისო ორგანიზაცია;
- HEKS-EPER - საერთაშორისო ორგანიზაცია;
- REC CAUCASUS- კავკასიის გარემოსდაცვით ცენტრი;
- DMO- ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია;

4. გეგმის შესავალი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ხელმოწერით, 2018 წლის მარტში მუნიციპალიტეტი შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ და გამოთქვა მზადყოფნა მჭიდროდ ითანამშრომლოს ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, ჩამოაყალიბოს პარტნიორული ურთიერთობები, ხელი შეუწყოს მდგრად და ინკლუზიურ ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად და გეგმაზომიერი აქტივობების განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული იქნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ყველა საჭირო ქმედება: კონკრეტული ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა და მუნიციპალიტეტში არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 500-800მ. სიმაღლეზე, გეოგრაფიულად ეკუთვნის კახეთის რეგიონს, ხასიათდება მშრალი კლიმატით, გრძელი და მშრალი ზაფხულით და შედარებით ცივი ზამთრით.

მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 2.532 კვ. კილომეტრს, რაც კახეთის რეგიონის 22%-ს შეადგენს და წარმოადგენს ქვეყნში სიდიდით მესამე მუნიციპალიტეტს (ხოლო კახეთის რეგიონში - სიდიდით პირველს). ამის მიუხედავად, იგი ყველაზე მცირედ დასახლებული მუნიციპალიტეტია კახეთის რეგიონში, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე არის 8,4 კაცი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. დედოფლისწყარო, რომელიც დედაქალაქიდან დაშორებულია 130კმ-ით, (2 საათის სავალი დროით), ქალაქ თელავიდან 90 კმ-ით, (1 საათი და 30 წუთი სავალი დროით). დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 1 ქალაქსა და 13 ადმინისტრაციულ ერთეულში 21,221 ადამიანი ცხოვრობს. 2016 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსახლეობის 20%-ს ახალგაზრდობა შეადგენს, 41%-ს - შუახნის მცხოვრები, ხოლო 38%-ს - 65 წელს გადაცილებული; მოსახლეობის 53%-ს ქალები შეადგენენ. მოსახლეობის დაბერების პროცესი დაჩქარებულია ახალგაზრდობისა და შუახნის მოსახლეობის მუდმივი მიგრაციის გამო თბილისსა და ქვეყნის გარეთ.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ წამყვან დარგს, მდიდარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით, რომლის ფართობიც შეადგენს 181 690 ჰა-ს, მათ შორის სახნავი მიწის ფართობია - 56 000 ჰა.

ტერიტორიაზე არ არის საკმარისად გამართული საირიგაციო სისტემათა ქსელი. სარწყავად ძირითადად გამოიყენება მდინარე ალაზანი და მდინარე იორი, რომლებიც მუნიციპალიტეტისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებთან მიედინებიან.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავდა „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ ინიციატივის ფარგლებში, ეს არის კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო დიალოგით შექმნილი გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია კერძო სექტორის განვითარებაზე და ორიენტირებულია შედეგებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება. დოკუმენტი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან, ასევე LAG-ის მიერ შემუშავებულ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან, კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან 2014-2021 და 2020-2022 საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამასთან.

გეგმა შემუშავებული იქნა კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში მოხდა დაინტერესებულ პირთა გამოვლენა და ჩართულობა.

გეგმა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაზეა ფოკუსირებული, ასეთი დოკუმენტაცი აქამდე არ შემუშავებულა, ამასთან, წინა პერიოდში პრიორიტეტული დოკუმენტების შემუშავება ხორციელდებოდა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ და დაინტერესებული პირებისათვის მისი

გაცნობა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ხდებოდა. გეგმაში გაწერილი ღონისძიებების გასახორციელებლად გათვალისწინებულია ჯამში 8 757 950 ლარი (2 766 435 ევრო), საიდანაც 62,5% დაფინანსდება მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტით, კერძო სექტორიდან - 20%, დონორი ორგანიზაციების მიერ - 17%, ხოლო წყვეტა დაფინანსებაში შეადგენს 0,5%. თითოეული პროექტი კონკრეტული, დროში გაწერილი, გაზომვადი და მიღწევადია.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური გეგმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა მერის და მერიის თანამშრომლების უშუალო ჩართულობით, თანასწორობის პრინციპით ჩართული კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების პარტნიორობით. ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა 20 ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთან, სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით შერჩეულ 5 ფოკუს ჯგუფში. თითოეული ფოკუს ჯგუფი შედგებოდა 20 წევრისგან (მათ შორის 8 ქალი და 12 კაცი). საჭიროებების გამოვლენის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, ფოკუს ჯგუფები დაკომპლექტდა ფერმერებით, მეღვინეებით, სასტუმროს მეპატრონეებით, მსხვილი და საშუალო მეწარმეებითა და რამდენიმე დაინტერესებული პირით სამოქალაქო საზოგადოებიდან, სულ 60 კაცი და 40 ქალი. ერთი შეხვედრა გაიმართა მუნიციპალიტეტში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტებისათვის, ერთი საერთო შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, ერთი შეხვედრა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან. შეხვედრების პროცესში დამსწრე პირებმა პასუხი გასცეს ანკეტურ კითხვებს. კითხვარები შემუშავებული იქნა ინიციატივის სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. შეხვედრებზე შეგროვდა, როგორც ეკონომიკური ანალიზისათვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების ვერსიების შემუშავება. შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებულ იქნა გენდერული ბალანსი. ასევე ჩატარებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის ონლაინ გამოკითხვები მათი პრობლემების და სირთულეების უკეთ გასაცნობად.

კითხვარების ანალიზის შედეგად გამოვლინდა დაინტერესებული მხარეები, შეიქმნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა 10 კაციანი შემადგენლობით. (აქედან 5 ქალი და 5 კაცი) და გეგმის შემუშავებელი 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი შემადგენლობა გადანაწილდა გენდერული ბალანსის დაცვითა და ფოკუს ჯგუფებიდან შერჩეული შესაბამისი წარმომადგენლებით: ერთი წარმომადგენელი კერძო სექტორიდან (1 კაცი), ერთი წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორიდან (1 ქალი) და ორი წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერიიდან (1 ქალი და 1 კაცი).

გაიმართა ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსულტაციები და მოხდა ინიციატივის კონცეფციის გაცნობა. საკითხების გადაწყვეტა ხმათა უმრავლესობით ხდებოდა, უმეტესი ნაწილი კონსესუსის გზით შეჯერდა. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები, კომუნიკაცია სოციალური ქსელებისა და ტელეფონის საშუალებით. იდეების დონეზე მიღწეულ იქნა შეთანხმება სექტორებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობასა და გარკვეულ პარტნიორულ ურთიერთობებზე. მაგალითად, მერის ინიციატივით კიდევ დამატებით ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა სასტუმროს მეპატრონეებთან, მევენახეებთან და მეღვინეებთან (საოჯახო მარნები), მოსმენილ იქნა მათი შეხედულებები დარგების განვითარებასთან, პროდუქციის წარმოებასა და რეკლამირების კუთხით.

პარტნიორობისა და ერთობლივი მუშაობისათვის დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რომელიც გაწერილია სამოქმედო გეგმის ნაწილში.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რაოდენობით, კახეთის მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებს შეადგენს, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. გარდა სოფლის მეურნეობისა, მისი ადგილობრივი ეკონომიკა წარმოდგენილია ტურიზმის, სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის (კირქვა), სხვადასხვა სახის მომსახურების, ვაჭრობისა და მშენებლობის დარგებით.

ადგილობრივ ბიუჯეტში მიწისა და ქონების გადასახადს დიდი წილი უკავია, რაც აიხსნება მუნიციპალიტეტის მიწის უზარმაზარი რესურსით, რის გამოც მუნიციპალიტეტი პირველ ადგილს იკავებს ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მიხედვით. ბიუჯეტის სტრუქტურა ასახავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ სტრუქტურას, სადაც ადგილობრივ ფასეულობათა ჯაჭვის უდიდეს ნაწილს, საწარმოების 57%-ს მოპოვებითი მრეწველობა შეადგენს (კირქვა), ვაჭრობისა და წარმოების წილი შეადგენს 21%-ს. (ვაჭრობა-მომსახურების სექტორები: ავტო-მომსახურება, სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურებები) მუნიციპალიტეტის დამატებითი ღირებულების პროდუქტში ასევე წვლილი შეაქვს: სოფლის მეურნეობას (14%), ვაჭრობას (10%), მომსახურებას (8%) და მშენებლობას (5%). დარჩენილი 6% მოდის ჯანდაცვაზე, განათლებაზე და ა.შ. ძირითადად აღნიშნული სექტორები იყენებენ ადგილობრივ მიმწოდებლებსა და რესურსებს თავიანთი ფასეულობათა ჯაჭვის განსავითარებლად. დღეის მდგომარეობით, ისეთი კომპანია, ან რომელიმე კონკრეტული დარგი, რომელთა პროდუქცია ან მომსახურება ასახავდეს მოცემული ტერიტორიის ინდივიდუალობას და გამოარჩევს სხვებისგან ამჟამად მუნიციპალიტეტში არ არსებობს. (იხ. „დანართი,გ“ და დანართი „დ“).

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სტრუქტურა

1	მოპოვებითი მრეწველობა (კირქვა)	57%
2	წარმოება	21%
3	სოფლის მეურნეობა	14%
4	ვაჭრობა	10%
5	მომსახურება	8%
6	მშენებლობა	5%
7	ჯანდაცვა/განათლება	6%

2017-2019 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციებზე გაცემულია სულ 55 სამშენებლო ნებართვა, რომლის დიდი ნაწილი მოდის სოფლის მეურნეობის მიმართულებაზე (მარცვლეულის საწყობები, ფარდულები და ა. შ.), სულ 24 ობიექტი და სავაჭრო მომსახურების ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე - 26 ობიექტი. აღსანიშნავია კვების, სასტუმროების, მცირე მარნების მშენებლობა-რეკონსტრუქციები, რომელზეც 5 ნებართვაა გაცემული.

გასულ წლებთან შედარებით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა გაზრდილია, რაც განპირობებულია მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში მოქმედი ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამებით და ასევე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებით, რომლებიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის საწარმოთა რაოდენობის ზრდასა და ბიზნესის განვითარებას. დღევანდელი მონაცემებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 180 საწარმოა რეგისტრირებული, მათგან 18 დიდი, 72 საშუალო და 90 კი - მცირე ზომისაა.

მიუხედავად იმისა რომ, ყოველწლიურად ეტაპობრივად იზრდება მუნიციპალიტეტში ეკონომიკური მაჩვენებელი, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება სააპლიკაციო ფორმების შევსებისა და ბიზნეს გეგმების წერის არასაბაზისო ცოდნა. ასევე იაფ აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობა და შესაბამისი ტექნიკა/დანადგარებისა თუ ნედლეულის სიმცირე ბიზნეს სფეროების მიხედვით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება კირქვა. მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობიდან ფუნქციონირებს ორი მძლავრი კირქვის საწარმო, თუმცა მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი მაინც სოფლის მეურნეობას უკავია.

მუნიციპალიტეტში ეკონომიკური სექტორის ზრდა ფიქსირდება შემდეგ სფეროებში: მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, გადამამუშავებელი მრეწველობა - ხორცისა და რძის პროდუქტები, ყურძენი და ხილი, ზეთისა და ფქვილის წარმოება. სამრეწველო განვითარება პირდაპირ კავშირშია სოფლის მეურნეობასთან, ამიტომ სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის დარგობრივ სტრუქტურაში სოფლის მეურნეობაზე მოდის ყველაზე დიდი წილი - 70,5%. თავის მხრივ სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მემინდვრეობა, მეცხოველეობა-საკვებდამზადება (უხეში საკვები) და მევენახეობა-მეხილეობა, ასევე ახლად განვითარებულ დარგებად შეიძლება ჩაითვალოს მეფრინველეობა და მეფუტკრეობა.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობი 181,690 ჰექტარს შეადგენს, აქედან 56 000 სახნავ-სათესი მიწებია, სადაც ყოველწლიურად მიმდინარეობს მარცვლეულის (ხორბალი, ქერის და მზესუმზირის) მოყვანა. 65271 ჰა საძოვრებს უკავია. აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში ვენახების მოშენებაც. დღეის მდგომარეობით, 1500 ჰექტარი აქვს დათმობილი ვენახებს, რაც გასულ წლებთან შედარებით 30%-ითაა გაზრდილი. მეურნეობის განვითარების ძირითადი ხელისშემშლელი პირობებია: სარწყავი წყლის ნაკლებობა, გაუმართავი საირიგაციო სისტემა, ქარსაფარი ზოლების არარსებობა, კლიმატის ცვლილება, მიმდინარე გაუდაბნოების პროცესი და სტიქიური მოვლენები, როგორცაა სეტყვა და წყალმოვარდნები მდინარისპირა სოფლებში, რომლებიც აზარალებს ადგილობრივ ფერმერებს.

სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე და აგროტექნიკაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა და დარგის სპეციალისტების სიმცირე. მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორებია ასევე დაავადებებისა და მავნებლების გავრცელება. ვინაიდან სოფლის მეურნეობის სექტორის წამყვანი სფეროა მსხვილფეხა საქონლის (ძროხა, ცხვარი) მოშენება, საჭიროა ფერმერთა ცნობიერების ამაღლება და ვეტერინარული უნარ-ჩვევების განვითარება.

დღეისათვის მუნიციპალიტეტში სწრაფად ვითარდება ტურიზმი, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მზარდი სექტორი. ამას განაპირობებს მუნიციპალიტეტში არსებული ორი დაცული ტერიტორია, რომელიც მუნიციპალიტეტის ფართობის 12%-ია. მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მომსახურების ობიექტები (კაფე-ბარები, რესტორნები, სასტუმროები, საოჯახო და ჰოსტელის ტიპის სასტუმროები) არსებულ მოთხოვნასთან მიმართებაში არ არის დამაკმაყოფილებელი, თუმცა ეტაპობრივად მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესება. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკის მიხედვით ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა 20-30%-ით იზრდება. აღსანიშნავია, რომ დაცულ ტერიტორიებზე დღეისათვის ვიზიტორებისათვის მოქმედებს 7 ტურისტული მარშრუტი, 16 დამის გასათევი ბუნგალო, 7 საპიკნიკე და 10 საკემპინგე ადგილი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისად.

ასევე, 2019 წლის მდგომარეობით სულ 10 მოქმედი სასტუმრო და 14 კვების ობიექტი ფიქსირება. მუნიციპალიტეტში მოქმედებს 5 ღვინის ქარხანა/მარანი. დედოფლისწყაროს

მუნიციპალიტეტში მდებარეობს 3 მუზეუმი და 1 დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში საექსპოზიციო ეკო-დარბაზი.

ტურიზმის სფეროში მიმდინარე ტენდენციებზე დაყრდნობით, მომდევნო წლებში მოსალოდნელია ტურისტული ნაკადის მკვეთრი ზრდა, რაც გამოიწვევს მოთხოვნასა და მიწოდებულ სერვისებს შორის დისბალანსს. დღეისათვის ხელისშემშლელი პირობებია მუნიციპალური ტრანსპორტის არ არსებობა და ნაკლებად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებენ პროექტებს დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის მნიშვნელოვანია ქარსაცავების გაშენება-ორგანიზაცია REC CAUCAUS-ის მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით საერთაშორისო ორგანიზაცია „HEKS-EPER” ახორციელებს ოთხწლიან პროექტს „სამოქალაქო ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისათვის”, რომლის სტრატეგიული მიზნებია: სიღარიბის დაძლევა, ბიზნესის დივერსიფიკაცია ყველა მიმართულებით (მათ შორის აგრარული, ტურიზმი და სხვა), ეკოლოგია და გარემოს დაცვა, მომსახურების სფეროს სერვისების შექმნა-განვითარება (კულტურული, სასწავლო-საგანმანათლებლო, ტექნიკური, საყოფაცხოვრებო და სხვა). ამ მიმართულებით დაფინანსდა, როგორც მოქმედი ბიზნესები, ასევე სტარტაპები და სხვადასხვა სოციალური პროექტები.

ასევე პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით დაფუძნდა ტურისტული ასოციაცია, რომლის მთავარი მიზანია ადგილობრივი ტურიზმის განვითარების სტიმულირება იქნება.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

ბიზნეს კომპანიებს შორის თანამშრომლობის ქსელი ნაკლებადაა ჩამოყალიბებული, შეიძლება ითქვას, განვითარების საწყის ეტაპზეა. მუნიციპალიტეტში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი ან რაიმე ინსტიტუცია ჩამოყალიბებული არ არის. ბიზნესის წარმომადგენლები ერთმანეთისათვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას პირადი ურთიერთობებით ან სპონტანური შეხვედრებისას თუ ახდენენ. სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული სტრუქტურული თანამშრომლობის გამოცდილება. ბოლო 3-4 წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, სახელმწიფო ინიციატივებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის წახალისება. ამჟამად მუნიციპალიტეტში მოქმედი შვიდი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია. რაც შეეხება თანამშრომლობას ბიზნეს კომპანიებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას შორის, არსებობს ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება, ხშირია მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ბიზნესის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირთა შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც ხდება კონკრეტული შესაძლო დაფინანსების წყაროებზე ინფორმაციის მიწოდება. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია მერის მრჩეველთა, ახალგაზრდული და გენდერული საბჭოები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობით, რომელიც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი თანამშრომლობის კუთხით.

საჯარო და კერძო სექტორის ინიციატივითა და ჩართულობით, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა „ბიზნეს ასოციაცია”. ასოციაციის წევრთა რაოდენობა შეადგენს 12 ადამიანს, აქედან 5 ქალია და 7 მამაკაცი. 4 წევრი შერჩეულია საჯარო სექტორიდან, 3 სამოქალაქოდან და 5 წევრსაც კერძო სექტორი წარმოადგენს. ასოციაცია კვარტალურად მოაწყობს შეკრებებს, სადაც განიხილავენ და იმსჯელებენ მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების მიმდინარე პროცესებისა და ახალი გამოწვევების შესახებ.

ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის ჩატარება კახეთის რეგიონში, რომელიც მიზნად ისახავს პოტენციური ინვესტორებისათვის არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების გაცნობას, სოფლის მეურნეობასა და ტურიზმის სექტორებში.

შეხვედრებში მერი მუდმივ მზადყოფნას აცხადებს კერძო და საჯარო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე, ერთობლივი პროექტის განხორციელებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ზრდას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ფინანსური წყაროების მოზიდვას.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების გაზრდისა და ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვასა და კორუფციის დონის შემცირებას საჯარო ადმინისტრირების პროცესში.

ჩატარებული შეხვედრებისა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კერძო სექტორისათვის პრიორიტეტულ საჭიროებას წარმოადგენს მერიის პროცედურების შესახებ ინფორმაციის ინტერაქციულ რეჟიმში მიღების შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეფერხებების აღმოფხვრა და სანებართვო საქმისწარმოების გამარტივება.

დღეისათვის უკვე მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად. შემოსული დოკუმენტი რეგისტრირდება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, რის გამოც შემცირებულია დოკუმენტბრუნვის დრო. ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის საშუალებით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანიზაციას. დამოუკიდებელი გაზეთი „შირაქი“, მერიის ვებ-გვერდი, facebook გვერდი და საინფორმაციო ცენტრი აქტიურად ამუშებენ ადგილობრივ სიახლეებს და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობას. მუნიციპალიტეტში განიხილება საკითხი შემუშავდეს ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდას და ინვესტიციების დაინტერესებას, შეირჩეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმები, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და ინფორმირებულობა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე. (იხ. დანართი-ვ:)

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური და შესყიდვების განყოფილება ბიზნეს სექტორთან ურთიერთობის მომართვის შემთხვევაში, გასცემს ინფორმაციას და უწევს კონსულტაციებს ბიზნესის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ მერიაში არ არის გარემოს დაცვის, ტურიზმისა და საერთაშორისო პროექტების მართვის სამსახური თუ განყოფილება, რომელიც უშუალოდ ორიენტირებული იქნება დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მოძიებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე გარემოს დაცვის, ტურიზმის და სხვადასხვა ბიზნეს ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებაზე. თუმცა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნესის სექტორის განვითარებას სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საქმიანობა სპონტანური ხასიათისაა, არ არის მოქცეული კონკრეტულ სისტემაში და არ ეყრდნობა რაიმე სახის სტრატეგიულ დოკუმენტს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი არის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ინიციატივის წევრი და აღებული აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას, ღია და კეთილსინდისიერ მმართველობას, სამოქალაქო უფლებების გაზრდას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მმართველობის პროცესში. მუშავდება ვებ-გვერდის პლატფორმა ინტეგრირებული ელექტრონული სერვისებით და ელექტრონული კალენდრით, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს სრულად მიიღოს ინფორმაცია მერიის მიერ დაგეგმილი ყველა აქტივობის, სერვისისა და პროექტის შესახებ.

ინფორმაცია მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან სისტემაში, სადაც ყველა დაინტერესებულ

პირს შეუძლია საკუთარი წინადადების წარდგენა და მოძიება. სატენდერო კომისიის მუშაობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება ატვირთულია აღნიშნულ სისტემაში. მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის საშუალებით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტების ნუსხა თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ. გვერდზე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისათვის და მათ შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და ინიციატივები, თუმცა ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვის რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

2019-20 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით იქმნება სამოქალაქო ჩართულობის პორტალი, მერიის სერვისების ვებ-პორტალი და ელექტრონული პეტიციის სისტემა. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმებისა და ბიუჯეტის ხარჯვის სამოქალაქო კონტროლის მექანიზმის დანერგვა. უახლოეს მომავალში დაიწყება მერიის გამჭვირვალობისა და ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავება.

6.4. წვდომა ფინანსებზე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია მწირი და შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო, სათანადოდ ვერ ახერხებს განახორციელოს ინოვაციური ქმედებები ბიზნეს სექტორში, რომელიც იქნება მორგებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაზე და უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას.

დღეისათვის ფინანსური რესურსების მოძიება შესაძლებელია ქ. დედოფლისწყაროში განთავსებულ კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო და სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში. ასევე მოქმედებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ფინანსური რესურსით მხარდაჭერას მოიცავს.

2014 წლიდან, მცირე და საშუალო ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, დაიწყო სახელმწიფო პროგრამები „აწარმოე საქართველოში“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“ და „დანერგე მომავალი“, რომლებიც ითვალისწინებდა მეწარმე სუბიექტებისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, უძრავი ქონებით უზრუნველყოფასა და საკონსულტაციო მომსახურებას.

მუნიციპალიტეტში ასევე მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა, რომელთა მხრიდანაც სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელ პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირება არ არის საკმარისი. იმის გამო, რომ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის ზოგიერთი პროცედურა ბიუროკრატიულია და ხშირ შემთხვევაში დროში იწელება, კერძო სექტორი არჩევს საკუთარი შეზღუდული რესურსებით განხორციელოს დაწყებული საქმე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემს სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისათვის 50-დან 50 000 ლარამდე (ყველა ბანკში სხვადასხვანაირად) ყოველგვარი გირაოს და უზრუნველყოფის გარეშე. ბანკებში სესხები გაიცემა როგორც ძირითადი საშუალებების შესაძენად, ასევე საოპერაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებებისთვის. სამეწარმეო საქმიანობას და ბიზნესს მძიმე ტვირთად აწევა სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი. ასევე, ბანკები არ აფინანსებენ სტარტაპებს, თუ უკვე რაიმე სახის ინვესტიცია არ არის ჩადებული ბიზნეს საქმიანობაში, რაც ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევს დამწყებ ბიზნესმენებში. არსებობს ცალკეული შემთხვევებიც, როცა სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ პროექტებში დაფინანსების პროცესები ჭიანჭურდება სხვადასხვა მიზეზის გამო და მეწარმეები აგრო ვადებში ვეღარ ეტევიან, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ეს არ არის ცალმხრივი პრობლემა. აღსანიშნავია ისიც, რომ არ ხდება ფერმერთა დროული დაზღვევა, რაც მათთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობისა და ინოვაციური მეწარმეობის დარგში არსებობს სხვადასხვა სახის სახელმწიფო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც დამწყებ, მცირე და საშუალო ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ სახელმწიფო დაფინანსება. ამ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში გაშენდა კაკლის, ნუშის და ზეთისხილის პლანტაციები, სათბურები, სანერგეები, სასაწყობე მეურნეობები და მაინც დიდ გამოწვევად რჩება ბიზნეს გეგმების შემუშავება. მისი არ ცოდნისა და გამოცდილების არ ქონის გამო, ხშირია შემთხვევები, როდესაც დაფინანსებას ვერ ღებულობენ. (იხ. დანართი: ზ).

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

ეკონომიკის განვითარების პარალელურად, ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტში იზრდება მოთხოვნა მიწასა (როგორც სასოფლო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო) და უძრავ ქონებაზე. მუნიციპალიტეტის ძირითადი სიმდიდრე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობი 181,690 ჰექტარს შეადგენს. სახნავი მიწების 24% სრულად გამოიყენება, სადაც ყოველწლიურად მიმდინარეობს მარცვლეულის (ხორბალი, ქერის და მზესუმზირის) მოყვანა. აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში ვენახების მოშენებაც. დღეის მდგომარეობით 1500 ჰექტარი აქვს დათმობილი ვენახებს. მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირითადი ბარიერია სარწყავი და სამელიორაციო სისტემის გაუმართაობა. არ არსებობს სარწყავი და სადრენაჟე სისტემები, რაც საირიგაციო სისტემის ძირეულ რეაბილიტაციას საჭიროებს, რათა წყლის დანაკარგი დიდი არ იყოს ყველა ნაკვეთამდე მივიდეს. ასევე ქარსაფარი ზოლების სიმცირე (თითქმის არ არსებობა), მიწის ეროზია და დაწყებული გაუდაბნოების პროცესი, რომელიც თანდათანობით მიწის გამოფიტვა/დეგრადირებას იწვევს, რაც შესაბამისად იმოქმედებს მოსავლიანობის ხარისხსა და რაოდენობაზე. აგროსექტორის განვითარების, მიწების რაციონალურად გამოყენებისა და კულტურების სწორად შესარჩევად მნიშვნელოვანია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევის ჩატარება. უკეთესი იქნება, თუ აღნიშნული ლაბორატორია განთავსებული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. (იხ. დანართი-თ)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალური უძრავი ქონება ძირითადად ამორტიზირებულია, მათგან შენობების დიდი ნაწილი სხვადასხვა სამინისტროების საკუთრებაშია, რაც ართულებს აღნიშნული ქონების გამოყენებას საინვესტიციო მიზნებისათვის. აქტიურად მიმდინარეობს დაურეგისტრირებელი ქონების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული საინვესტიციო პაკეტი და ინვესტორებისათვის შესათავაზებელი საინტერესო მიწებისა და უძრავი ქონების ნუსხა.

ბიზნესის მხრიდან გაიზარდა მოთხოვნა, როგორც სასოფლო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების გაიჯარება-გასხვისებაზე. ასევე დიდია მოთხოვნა თანამედროვე სავაჭრო, სასაწყობე და სამაცივრე სივრცეებზე, მიკრო კომპანიებისთვის შესაფერის იზოლირებულ სავაჭრო/სამუშაო ფართებზე.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო

მიუხედავად გარკვეული პროცედურების გამარტივებისა, მუნიციპალიტეტში ბიზნესის უკეთ განვითარებისათვის და მისი გამარტივებისათვის, მაინც არსებობს გარკვეული დაბრკოლებები. ჯერ კიდევ არის გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები, საკანონმდებლო რეგულაციები და ადმინისტრაციული წესები. ერთ-ერთი პრობლემა არის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურებსა და ვადებში, რომელიც რიგ შემთხვევებში იწელება უწყებებს შორის კოორდინაციის და შესაბამისი კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო. ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები მოხსნილია ან გამარტივებულია, ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული რეგულაციები და ადმინისტრაციული წესები, რომელიც

დროში აფერხებს მათ საქმიანობას. ამ სფეროში არ არსებობს კოორდინაცია უწყებებს შორის და სხვადასხვა უწყება ითხოვს ერთი და იგივე ინფორმაციის წარდგენას. ამასთან გარკვეული დაბრკოლებებით მიმდინარეობს მიწისა და ქონების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა. მუნიციპალიტეტში არსებული მიწის ნაკვეთების გარკვეული ფართობები ირიცხება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, რაც უფრო ართულებს მიწის გაქირავებას, იჯარით გაცემასა თუ გასხვისებას. ამისათვის მიზანშეწონილია მოხდეს მიწის სისტემური აღრიცხვა და გამარტივდეს რეგისტრაციის პროცესი. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ამ მიმართულებით შესაბამის უწყებებთან.

ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საჭიროა ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე მოქმედი ბიზნეს ომბუდსმენის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვას.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

ადგილობრივი მოსახლეობისათვის უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღება ხელმისაწვდომია. თუმცა დარგების მიხედვით, მუნიციპალიტეტში არსებული უნარებისა და ადამიანური კაპიტალის არსებული მდგომარეობის ანალიზის მიხედვით გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობის, სამრეწველო საქმიანობის, ვაჭრობის, კვების ობიექტების, სასტუმროების, მშენებლობისა და დეველოპერული ბიზნესის, ჯან. დაცვისა და სოციალური სერვისების, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და ტექნიკური მომსახურების სფეროში არსებობს კვალიფიციური კადრების მკვეთრი დეფიციტი, რაც განპირობებულია დაბალი ანაზღაურებითა და სასურველი სამუშაოს ძებნით გამოწვეული მოსახლეობის მიგრაციით.

ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში საშუალოდ 280-300 მოსწავლე ამთავრებს საჯარო სკოლას და სწავლას აგრძელებს სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში. ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც კვალიფიციურ განათლებას იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში, უკან დაბრუნების სურვილი აღარ აქვთ. ამიტომ, განათლების, მედიცინისა და ეკონომიკის სხვადასხვა სწრაფად მზარდ სექტორებში, კადრების პროფესიული უნარ-ჩვევები და კომპეტენცია ჯერ კიდევ მთავარ გამოწვევად რჩება. მუნიციპალიტეტი, როგორც აგრარული და ტურისტული პოტენციალით გამორჩეული ადგილი, მოსახლეობა ეკონომიურად გაძლიერების კუთხით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კიდევ უფრო მეტი ინვესტიციების განხორციელებას არსებულ სფეროებში, რაც გამოიწვევს სამუშაო ადგილების შექმნასა და ახალგაზრდობის მიგრაციის შემცირებას.

ადგილობრივი ფერმერების განცხადებით, დღეს აგრო სექტორი განიცდის ვეტერინარების, აგროინჟინერების, მექანიზატორების, ღვინის ტექნოლოგებისა და სხვა აგრარული მიმართულების კადრების, დეფიციტს. მათივე განმარტებით, საჭიროა აღნიშნულ სეგმენტში არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი სტანდარტების მიხედვით.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა მომსახურე კვალიფიციურ პერსონალზე. მოთხოვნადი პროფესიებია: მზარეულები, უცხოენოვანი გიდები და მძღოლები, სანტექნიკოსები, მშენებელ-ინჟინრები, ავტო-ტექნიკური და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მომსახურე პერსონალი. მუნიციპალიტეტიდან გასულია ახალგაზრდა, შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრი, რაც ადგილობრივი ხელისუფლების გამოწვევას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ეძებს გზებს სამუშაოს მაძიებელთა დასახმარებლად, რაც მომავალში საუკეთესო გადადგმული ნაბიჯი იქნება მიგრაციის შესაჩერებლად.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროორიტეტული საკითხია გენდერული ბალანსის დაცვა და ქალების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ისევე როგორც თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ქალთა ოთახი და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხდება

სპეციფიური ტრენინგების ჩატარება და მათი დასაქმება დონორების მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

LEDP-ის შემუშავების პროცესში ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვების მიხედვით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხასიათდება, როგორც აგრარული მეურნეობის წარმოებისათვის მიმზიდველი ადგილი, ასევე სამომავლო ინვესტირების თვალსაზრისით მიმზიდველი ადგილი, რომლის საფუძველსაც ქმნის მისი გეოგრაფიული მდებარეობა, უნიკალური ეკოსისტემა, ნიადაგის ნაყოფიერება, კარგად გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა მთლიანი მუნიციპალიტეტის მასშტაბით (მათ შორის საზღვრის პირა სოფლებში დაიგო ასფალტის საფარი მსოფლიო ბანკის დახმარებით), მნიშვნელოვანი ისტორიული, არქეოლოგიური და კულტურული ძეგლები. ამის მიუხედავად, ინვესტირებისათვის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალი სათანადოდ არ არის წარმოჩენილი. ამისათვის არ არსებობს საინვესტიციო კატალოგები და შესაბამისი მარკეტინგული ინსტრუმენტები.

კერძო სექტორის აზრით, უმჯობესი იქნება თუ საინვესტიციო კატალოგები მომზადდება ისეთი კუთხითაც, სადაც ინვესტორი დაინტერესდება აგრარული კუთხით და დაეხმარება ფერმერებს ბევრი პრობლემის მოგვარებაში როგორც არის მაგალითად მაღალი ხარისხის სარგავი მასალისა და ხარისხიანი სასუქებისა და საწამლი მასალის შეძენა. სარწყავი სისტემის გამართვა. ამ გამოწვევების გამო ისინი მხოლოდ მცირე ფართობებზე ახერხებენ ხეხილის გაშენებასა და ბაღჩეული კულტურის მოყვანას-ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისათვის. რის შედეგადაც, მუნიციპალიტეტი ხილისა და ბოსტნეულის იმპორტირებას ძირითადად მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან აწარმოებს.

ინვესტიციების მიმართულებით-ტექნიკური/ექსპერტული დახმარების პროექტი (preparation of georgian public administration for implementation of pilot integrated regional development programme within investment), რომლის მიზანია პოლონეთის გამოცდილების გაზიარებით ადგილობრივ დონეზე საინვესტიციო საკითხებზე შესაძლებლობების განვითარება, შესაბამისი ფორმით საინვესტიციო შეთავაზებების და საინვესტიციო პაკეტების მომზადება. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და პოლონეთის ინვესტიციებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების ჩატარება, გამოცდილების გაზიარება და ექსპერტების დახმარება მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე).

მუნიციპალიტეტში არის ორი უმნიშვნელოვანესი დაცული ტერიტორია, 40-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტორული ღირშესანიშნაობა, პალეონტოლოგიური და ანტიკური ხანის ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, რომლებიც ყოველწლიურად უამრავი ქართველი თუ უცხოელი ვიზიტორის დასათვალიერებელი ადგილია. ამ მიმართულებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს აქვს უნიკალური შესაძლებლობა გახდეს როგორც რეგიონში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი.

ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და კავკასიის რეგიონალურ გარემოსდაცვით ცენტრს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულების პროექტს „ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის შექმნა“, რომელიც დიდ სარგებელს მოუტანს მუნიციპალიტეტს, როგორც ეკონომიკური, ასევე გარემოს დაცვითი საკითხების თვალსაზრისით. (იხ. დანართი-ე.)

ადგილობრივი ტრადიციების გაცნობისა და პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნით, ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში იმართება ფესტივალები, ასევე საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივ სახალხო დღესასწაულებს. ასევე მასპინძლობს რესპუბლიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის

სპორტულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის ამაღლება, რაც პოპულარიზაციასა და ვიზიტორთა ნაკადის ზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, სახელმწიფო გრანტითა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული კერძო სექტორი აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა სფეროში ჩადებული ინვესტიციების განსახორციელებლად, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, ადგილობრივი ღვინის მარნების პოპულარიზაციას, ახალი ტურისტული მარშრუტების დაგეგმვას, რეკრეაციული ზონების შექმნას, გასართობი ცენტრის დაარსებას, სპორტული მოედნების რეაბილიტაციას, უკვე არსებული ტურისტული სერვისების გაფართოება/გაუმჯობესებას და შემდგომში მიზნობრივ ბაზრებზე აქტიურ პოზიციონირებას.

7. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ნაყოფიერი ნიადაგი, სამოვრები; • სოფლის მეურნეობის დარგების მრავალფეროვნება; • ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლების სიმრავლე; • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; • ბუნებრივი რესურსების სიუხვე; • დაცული ტერიტორიები და დიდი ბიომრავალფეროვნება; • საოჯახო ღვინის მარნების სიმრავლე და ბიო ღვინის წარმოება; • ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა საზოგადოების ყველა სექტორის ჩართულობაში მონაწილეობაზე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობის წინსვლისთვის მრავალკუთხეული ტრადიციები; • საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული სხვადასხვა პროექტები; • ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია და განვითარების მაღალი პოტენციალი 	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის მწირი და შეზღუდული ბიუჯეტი; • ნაკლებად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა • წყლის დებეტის ნაკლებობა და გაუმართავი საირიგაციო სისტემა; • არაეფექტური სადაზღვევო სისტემა აგრო სექტორში; • მიწის საკვლევი ლაბორატორიის არ არსებობა; • აგროტექნიკაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა; • ქარსაფარი ზოლების არ არსებობა; • ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების გავრცელება; • არასაკმარისად განვითარებული ტურისტული ინდუსტრია; • მუნიციპალური ტრანსპორტის არ არსებობა; • სამუშაო ადგილების ნაკლებობა; • სამაცივრე მეურნეობის არარსებობა; • არასაკმარისი ცოდნა ბიზნეს გეგმების დასაწერად; • დაბალი ცნობადობა მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობებზე • დაბალი ცნობადობა მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებზე და კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობაზე • აგროსექტორში ჩართულობა დაბალი კვალიფიკაცია და უნარები; კვალიფიციური მუსახელის სიმცირე; • ცუდი პირობები ან არასაკმარისი რეკრეაციული ადგილები, რაც აიძულებს ადგილობრივ ახალგაზრდობას და ტურისტებს სხვაგან ეძიონ მსგავსი შესაძლებლობები და დაწესებულებები. • საჯარო და კერძო სექტორის შორის არასაკმარისი ურთიერთთანამშრომლობა. • ინფორმაციასთან წვდომის დაბალი დონე მუნიციპალიტეტში • ადგილობრივ სექტორებს შორის ნაკლები

	თანამშრომლობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ინვესტიციების მოზიდვა სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორში; • ტურისტული და გასართობი სივრცეების განვითარება; • წარმოებული პროდუქციის რაოდენობის და ხარისხის გაუმჯობესება აგროსექტორში ჩართულ პირთა უნარების განვითარების საფუძველზე • ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა და შემოსავლების მატება; • ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნა; • კაპიტალური ინვესტიციების განხორციელება; • ტურისტული მომსახურების გაუმჯობესება და ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა; • მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა და ტურისტულ სეგმენტში ჩართულ პირთა უნარების გაუმჯობესება; • ადგილობრივი მეწარმეების შესაძლებლობების განვითარება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა • საჯარო და კერძო სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება; • ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის გაზრდა; • სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; • რეგიონში ტურისტულ ლიდერად ჩამოყალიბება; 	<ul style="list-style-type: none"> • სოფლის მეურნეობაში გავრცელებული მავნებლები: ყურძნის ჭია, ბურნა და სოკოვანი დაავადებები (მარცვლეულში); მეცხოველეობაში გავრცელებული სხვადასხვა დაავადებების მაღალი რისკი; • ბუნებრივი კატასტროფები: მათ შორის სეტყვა, წყალმოვარდნები მდინარისპირა სოფლებში და გვალვა; • მიგრაციის მაღალი დონე; • სარწყავი სისტემის უქონლობის გამო გვალვის მაღალი რისკი; • კლიმატის ცვლილება და გაუდაბნოების პროცესი; • მიწის ეროზია;

კერძო სექტორთან და პარტნიორებთან დისკუსიამ, სხვადასხვა სახის კვლევამ ნათლად წარმოაჩინა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ის ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები, რომლებიც მიმართული უნდა იქნას სუსტი მხარეების დასაძლევად. ძლიერი მხარეები, მათ შორის ნაყოფიერი ნიადაგი, სამოვრები, სოფლის მეურნეობის დარგის მრავალფეროვნება, ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლების სიმრავლე, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, დაცული ტერიტორიები და დიდი ბიომრავალფეროვნება, საფინანსო ინსტიტუციების არსებობა და ხელმისაწვდომობა, საოჯახო ღვინის მარნების სიმრავლე და ბიო ღვინის წარმოება, ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა საზოგადოების ყველა სექტორის ჩართულობაში მონაწილეობაზე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობის წინსვლისთვის, მრავალკულტურული ტრადიციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული სხვადასხვა პროექტები, ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია და განვითარების მაღალი პოტენციალი საუკეთესო შესაძლებლობებს ქმნის გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად. ქმედებები მიმართულია იმ ძირითადი სისუსტეების დასაძლევად რომელიც სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, მათ შორის აგროტექნიკაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, ქარსაფარი ზოლების არ არსებობა, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების გავრცელება, კვალიფიციური მუშახელის სიმცირე, არასაკმარისად განვითარებული ტურისტული ინდუსტრია, არასაკმარისი ცოდნა ბიზნეს გეგმების დასაწერად, არასაკმარისი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობებზე და სხვა.

8. ხედვა და მიზნები

ხედვა:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მოზიდული ინვესტიციებისა და გაუმჯობესებული შრომითი რესურსის, ინფრასტრუქტურული მდგომარეობის საფუძველზე, განვითარებული ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგებით არის მიმზიდველი მუნიციპალიტეტი საცხოვრებლად, სამუშაოდ და ინვესტიციების განსახორციელებლად.

აღნიშნული ხედვა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობით მიაღწევს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს.

სტრატეგიული მიზნები:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესება
2. ადგილობრივი ბიზნესისა და ინვესტორთა მომსახურების გაუმჯობესება
3. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია პროცესში ჩართული მხარეების თანამშრომლობის შედეგად. გეგმა ითვალისწინებს ინვესტიორებისათვის საინტერესო და მიმზიდველი გარემოს შექმნას, ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას. გეგმაში გაწერილი ქმედებების შესრულებაზე მთავარი პასუხისმგებელი უწყება არის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესამამისი სტრუქტურული ერთეულები. გეგმის შესრულების პროცესში პასუხისმგებელი უწყება აქტიურად ითანამშრომლებს სამოქალაქო და ბიზნეს სექტორთან.

თემატური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი მიწა და ინფრასტრუქტურა უნარები და ადამიანური კაპიტალი	1. ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესება	1.1 ორი ახალი ტურისტული მარშრუტის დაგეგმვა;	3/2020-5/2020	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია; LAG; DMO	3000 ლარი 950 ევრო	მოეწყობა ტურისტული ბილიკები, შეირჩევა ადგილები და მოეწყობა ინფრასტრუქტურა	მარშრუტები გაიხსნება ვიზიტორებისათვის. გაიზრდება მუნიციპალიტეტის ცნობადობა 30%-ით და ვიზიტორთა რაოდენობა 10%-ით.
		1.2 საინფორმაციო დაფების განთავსება, ტურისტული ბილიკების მარკირება	01/2020-01/2021	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია; DMO	402 000 ლარი 123650 ევრო	განთავსდება საინფორმაციო დაფების რაოდენობა, მარკირებული ბილიკები	მოხდება მუნიციპალიტეტის პოპულარიზება საერთაშორისო დონეზე. გაიზრდება ცნობადობა 20 %-ით და ვიზიტორთა რაოდენობა 12%-ით..
		1.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და ისტორიული ძეგლების პასპორტიზაცია და ამის შესახებ საინფორმაციო ტურისტული დანიშნულების ბუკლეტებისა და	11/2019-01/2020	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია DMO	2000 ლარი 650 ევრო	გაკეთდება ისტორიული ძეგლების ინვენტარიზაცია და დაიბეჭდება ბუკლეტები/გზამკვლევი	გაიზრდება მუნიციპალიტეტში ტურისტული ობიექტების პოპულარიზაცია, ცნობადობა 20 %-ით და ვიზიტორთა რაოდენობა 15 %-ით.

		გზამკვლელების დამზადება;					
		1.4 ფესტივალების, სახალხო დღესასწაულებისა და გამოფენა-ბაზრობების მოწყობა. (დედოფლისწარობა, ფიროსმანობა, ღვინისა და პურის ფესტივალი)	01/2020-01/2021	დედოფლისწარობის მუნიციპალიტეტის მერია, კერძო სექტორი და DMO	26500 ლარი 8400 ევრო	ჩატარდება ფესტივალების, დღესასწაულების, ბაზრობების რაოდენობა, ფესტივალებში მონაწილეთა რაოდენობა	გაიზრდება ცნობადობა ღვინის ტურიზმის, ღვინის კულტურისა და ქართული ტრადიციების შესახებ; გაიზრდება მუნიციპალიტეტის ცნობადობა 25 %-ით, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ცნობადობა 20%-ით, გაიზრდება მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობა 15 %-ით, გაიზრდება ადგილობრივ მწარმოებელთა შემოსავლები 15-20%-ით.
		1.5. ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოწყობა-რეაბილიტაცია	4/2020-10/2020	დედოფლისწარობის მუნიციპალიტეტის მერია და ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო	3 000 000 ლარი 967000 ევრო	მოწესრიგდება მუზეუმთან მისასვლელი გზა	გაუმჯობესდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად გაიზრდება ტურისტების ნაკადი 15%-ით, გაიზრდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 30-30%-ით.
		1.6. ტურიზმის სფეროში მომსახურე პერსონალის გადამზადება (გიდები, მძღოლები, სასტუმროს პერსონალი)საბაზისო უცხო ენის ცოდნა, მარშრუტების ცოდნა, მასპინძლობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება	04/2020-01/2021	დედოფლისწარობის მუნიციპალიტეტის მერია და დონორი ორგანიზაცია	3000 ლარი 950 ევრო	გადამზადდება პერსონალის რაოდენობა	გაიზრდება კვალიფიციური კადრი. დაახლოებით 40 ადამიანი გადამზადდება ტურიზმის მომსახურების სხვადასხვა სფეროში და შეისწავლის საბაზისო უცხო ენას.
		1.7. „არწივის ხეობის“ გადმოსახედის მოწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ახალი მარშრუტის ლოკაციისათვის	01/2020-01/2021	TJS და მუნიციპალური განვითარების ფონდი	150 000 ლარი 45 800 ევრო	მოწყობა შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა	ახალი მიმართულების მარშრუტი „ბერდვოთჩინგი“ გაისხნება ვიზიტორებისათვის. გაიზრდება ვიზიტორთა რაოდენობა 20 %-ით, მუნიციპალიტეტში გაჩნდება ახალი მიზიდულობის ცენტრი.
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	2.ადგილობრივი ბიზნესისა და ინვესტორთა მომსახურების გაუმჯობესება	2.1. საინვესტიციო მიმართულებით შესაძლებლობების განვითარება და საინვესტიციო პორტფელის მომზადება	11/2019-11/2020	საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და პოლონეთის	45 000 ლარი 13 750 ევრო	გადამზადდება თანამშრომლების რაოდენობა საინვესტიციო წინადადებების	გაიზრდება ადგილობრივი რესურსის შესაძლებლობა ინვესტორთა მომსახურების კუთხით, გაიზრდება ცნობადობა მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის

უნარები და ადამიანური კაპიტალი				ინვესტიციებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო/დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტის მერია		მომზადების მიზნით მომზადდება საინვესტიციო შეთავაზებების ნუსხა ერთიანი საინვესტიციო პაკეტის სახით	შესახებ 25 %-ით, გაიზრდება გრანტები და ინვესტიციები კერძო სექტორში
		2.2. კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელთათვის, სასწავლო-სამუშაო შეხვედრების ჩატარება	5/2020-11/2020	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და კერძო სექტორი	3000 ლარი 950 ევრო	შეირჩევა ჯგუფები ორივე სექტორიდან. განისაზღვრება ტრენინგების თემა და ჩატარების გეგმა-გრაფიკი, ჩატარდება შეხვედრების რაოდენობა	ამაღლდება კერძო სექტორის წარმომადგენელთა კვალიფიკაცია, გაიზრდება კერძო სექტორის წარმომადგენელთა ცნობიერება საგრანტო-საინვესტიციო პროექტების კუთხით 40 %-ით, გაიზრდება თანამშრომლობა კერძო და საჯარო სექტორს შორის 30-35 %-ით.
		2.3. ვიდეო რგოლის „წარმოებულია დედოფლისწყაროში“ გადაღება;	01/2020-5/2020	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	2500 ლარი 800 ევრო	მომზადდება ვიდეო რგოლი და გაიშვება სხვადასხვა საინფორმაციო პორტალზე	გაიზრდება მუნიციპალიტეტის გარე პოზიციონირება და საინვესტიციო მიმზიდველობა 30 %-ით, გაიზრდება ტურისტების ინტერესი ადგილობრივ პროდუქციაზე 20 %-ით.
		2.4. საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის ჩატარება	11/2019-05/2020	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია/DMO/დონორი ორგანიზაცია	150000 ლარი 45800 ევრო	ჩატარდება ფორუმი, მომზადდება პრეზენტაციები	გაიზრდება ინფორმირებულობის დონე/გაიზრდება ინვესტორების ინტერესი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების განხორციელების კუთხით 35-40 %-ით.
უნარები და ადამიანური კაპიტალი მიწა და ინფრასტრუქტურა გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	3.სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	3.1 აგროსექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ხორბლის, ქერის, მზესუმზირის მოყვანასა და წარმოებაში. აგროსექტორის ხელშეწყობა, დარგის სპეციალისტების გადამზადება.	05/2020-11/2020	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	2500 ლარი 800 ევრო	შერჩეულია აგრო სექტორის დარგში მოთხოვნილი კადრის გადამზადებელი ჯგუფი.გადამზადდება 20 ადამიანი.	გაიზრდება კვალიფიციური კადრი აგროსექტორში, დასაქმების შესაძლებლობებთან ერთად. ამაღლდება აგროსექტორში ცნობიერება 30-40 %-ით, აგროსექტორში დასაქმებულ პირთა ოდენობა, აგროსექტორის სფეროში სპეციალისტების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი.
	3.2. ბიოსფერული რეზერვატის შექმნა, რომლის მიზანია სასიცოცხლო გარემოს	01/2020-01/2021	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და REC CAUCASUS	912450 ლარი 300 000 ევრო	შეიქმნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის	გაიზრდება მუნიციპალიტეტის ცნობადობა საერთაშორისო დონეზე/გაიზრდება მიწის რესურსების გამოყენება 40 %-ით	

		შენარჩუნება, გარემოს გლობალური მონიტორინგი, მეცნიერული კვლევა, რეკრეაციული და საგანმანათლებლო საქმიანობა				ბიოსფერული რეზერვატი	
		3.3. ქარსაფარი ზოლების აღდგენა	10/2019-12/2020	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო და REC CAUCASUS	56000 ლარი 17500 ევრო	გაშენდება და აღდგება ქარსაფარი ზოლის ფართობი	შემცირდება ნიადაგის განადგურება ეროზიისაგან, გაუმჯობესდება სახნავ-სათესი მიწების ეკოლოგიური მდგომარეობა და გაიზრდება ნიადაგის ნაყოფიერება 20-25 %-ით.
		3.4 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნა,	10/2019-02/2020	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, კერძო სექტორი	4000 000 ლარი 1222455 ევრო	მოხდება აგრო ტექნიკის შესყიდვა გარკვეული რაოდენობა (10 ერთეული)	დაახლოებით 30%-ით გაიზრდება აგროტექნიკის გამოყენების და ნიადაგის დამუშავების შესაძლებლობა მცირე მიწიანი ფერმერებისათვის, ასევე დროულად მოხდება მოსავლის აღება.

10. დაფინანსების სქემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დაფინანსების სქემაში განსაზღვრულია თითოეული ღონისძიების საორიენტაციო ღირებულება, რომელიც მოიცავს როგორც კაპიტალურ, ასევე სხვა ხარჯებსაც: სულ ჯამური სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 8 757 950 ლარს (2 766 435 ევრო), საიდანაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 378 700 ლარი (122 161 ევრო), მაღალი დონის ბიუჯეტიდან 4 000 000 ლარი (1 290 322 ევრო), კერძო სექტორიდან 2 805 500 ლარი (905 000 ევრო), ხოლო დონორი ორგანიზაციების ბიუჯეტიდან 1 521 950 ლარი (490951 ევრო) დაიხარჯება, წყვეტა დაფინანსებაში 50000 ლარი (11075 ევრო). ქმედებებს შორის თანხების განაწილება შეესაბამება გეგმაში გაწერილი ღონისძიებების ღირებულებას და მიმართულია გეგმით გაწერილი მიზნების შესასრულებლად.

ლონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წვევთა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1. ორი ახალი ტურისტული მარშრუტის დაგეგმვა;	3000 ლარი 950 ევრო	2000 ლარი (625 ევრო)			1000 ლარი (325 ევრო)		
2. საინფორმაციო დაფების განთავსება, ტურისტული ბილიკების მარკირება	402 000 ლარი 123650 ევრო	37 000 ლარი 650 ევრო			365 000 ლარი 111550 ევრო		
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და ისტორიული ძეგლების პასპორტიზაცია და ამის შესახებ საინფორმაციო ტურისტული დანიშნულების ბუკლეტებისა და გზამკვლევების დამზადება;	2000 ლარი 650 ევრო	2000 ლარი 650 ევრო					
4. ფესტივალების, სახალხო დღესასწაულებისა და გამოფენა-ბაზრობების მოწყობა	26500 ლარი 8400 ევრო	21500 ლარი 6800 ევრო		5000 ლარი 1600 ევრო			
5. ვიდეო რგოლის „წარმოებულია დედოფლისწყაროში“ გადაღება;	2500 ლარი 800 ევრო	2500 ლარი 800 ევრო					
6. ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოწყობა-რეაბილიტაცია	3 000 000 ლარი 967000 ევრო	300 000 ლარი 96 700 ევრო	2 700 000 ლარი 870 300 ევრო				
7. ტურიზმის სფეროში მომსახურე პერსონალის გადამზადება	3000 ლარი 950 ევრო				3000 ლარი 950 ევრო		
8. „არწივის ხეობის“ გადმოსახედის მოწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ახალი მარშრუტის ლოკაციისათვის	150 000 ლარი 45800 ევრო		100 000 ლარი 34725 ევრო			50000 ლარი 11075 ევრო	
9. საინვესტიციო მიმართულებით შესაძლებლობების განვითარება და საინვესტიციო პორტფელის მომზადება	45 000 ლარი 13 750 ევრო	3000 ლარი 950 ევრო			42000 ლარი 12 800 ევრო		
10. კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელთათვის, სასწავლო-სამუშაო შეხვედრების ჩატარება	3000 ლარი 950 ევრო			500 ლარი 150 ევრო	2500 ლარი 800 ევრო		
11. საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის ჩატარება	150000 ლარი 5200 ევრო	10000 ლარი 3400 ლარი			140000 ლარი 48600 ევრო		
12. აგროსექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება, აგროსექტორის ხელშეწყობა, დარგის სპეციალისტების გადამზადება.	2500 ლარი 800 ევრო	2500 ლარი 800 ევრო					

13. ბიოსფერული რეზერვატის შექმნა	912450 ლარი 300 000 ევრო				912 450 ლარი 300000 ევრო		
14. ქარსაფარი ზოლების აღდგენა	56000 ლარი 17500 ევრო				56 000 ლარი 17500 ევრო		
15. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა	4 000 000 ლარი 1388000 ევრო		2200000 ლარი 818 000 ევრო	1800000 ლარი 970 000 ევრო			
ჯამი	8 757 950 ლარი 2 766 435 ევრო	380 500 ლარი 122 161 ევრო	5 000 000 ლარი 1 290 322 ევრო	1 805 500 ლარი 485 000 ევრო	1 521 950 ლარი 490951 ევრო	50000 ლარი 11075 ევრო	

11. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულებას კოორდინაციასა და მონიტორინგს გაუწევს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი და პარტნიორების მიერ ჩამოყალიბებული მონიტორინგის კომიტეტი (ჯგუფი). მონიტორინგის ჯგუფი თანაბრად იქნება დაბალანსებული ქალებით და მამაკაცებით. ჯგუფი ყოველ 2-3 თვეში ერთხელ შეიკრიბება, შეაჯამებს გაწეულ სამუშაოებს და იმსჯელებს სამომავლო ღონისძიებების განხორციელების ეფექტურ გზებზე. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმაში გაწერილ ღონისძიებების შესრულებას და მათი ეფექტიანობის შეაფასებას განხორციელებს სამუშაო ჯგუფი ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.

ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)	მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6	მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12	მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18	მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24
1. ორი ახალი ტურისტული მარშრუტის დაგეგმვა;	3/2020-5/2020	ტურისტული მარშრუტების დასაგეგმად შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი.	ტურისტული მარშრუტებისათვის შეირჩევა ლოკაცია, განისაზღვრება მარშრუტების სირთულე,	მოხდება მარშრუტების მარკირება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა-სარეკონსტრუქციო	ახალი მარშრუტის საშუალებით მოხდება ტურისტული ობიექტების სრულად ათვისება და ვიზიტორების მოზიდვა.

			ხანგრძლივობა და მანძილი.	სამუშაოების ჩატარება და სატესტო რეჟიმში სამუშაო ჯგუფის გასვლა ბილიკზე.	გაიხსნება ორი ახალი მარშრუტი და მიღებული იქნება პირველი ვიზიტორთა ჯგუფი.
2. საინფორმაციო დაფების განთავსება, ტურისტული ბილიკების მარკირება	01/2020-01/2021	შეირჩევა სპეციალური ადგილები ბილიკების მარკირებისათვის და საინფორმაციო ბანერების განსათავსებლად.	მომზადდება საინფორმაციო დაფები და შესაბამისი მასალები ბილიკების მარკირებისთვის	სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდება საინფორმაციო დაფების განთავსება და ბილიკების მარკირება	ტურისტები ისარგებლებენ ახალი ბილიკებით და საინფორმაციო დაფებით. მოხდება მუნიციპალიტეტის პოპულარიზება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და ისტორიული ძეგლების პასპორტიზაცია და ამის შესახებ საინფორმაციო ტურისტული დანიშნულების ბუკლეტებისა და გზამკვლევების დამზადება;	11/2019-01/2020	შეირჩევა მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი სპეციალისტებით	ჯგუფი დაიწყებს ძეგლების აღწერას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მოამზადდება სპეციალური ფოტოები და მასალები ბუკლეტისათვის.	გამოცხადდება ტენდერი ბუკლეტების დასაბეჭდად.	დაიბეჭდება ახალი ტურისტული გზამკვლევი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების სრული ინფორმაციით.
4. ფესტივალების, სახალხო დღესასწაულებისა და გამოფენა-ბაზრობების მოწყობა	01/2020-01/2021	განსაზღვრება ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულების გეგმა-გრაფიკი წლის განმავლობაში.	მოწესრიგდება ფესტივალების და დღესასწაულებისთვის განკუთვნილი ტერიტორიის შესაბამისი ინვენტარის მობილიზება	მოხდება კერძო სექტორის ინფორმირება და მონაწილეთა შერჩევა	ჩატარდება ღონისძიებები. მეწარმეები წარადგენენ საკუთარ ნაწარმოებ პროდუქციას და ამადლდება ცნობადობა ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციაზე
5. ვიდეო რგოლის „წარმოებულია დედოფლისწყაროში“ გადაღება;	01/2020-5/2020	შეირჩევა ადგილი ვიდეო-რგოლის გადასაღებად.	შეირჩევა თემა ვიდეო-რგოლისათვის, რომელიც იქნება ადგილობრივი პროდუქციის, კულტურის, ტრადიციებისა და ტურისტული	მომზადდება შესაბამისი ინვენტარი, საწარმოები საკუთარი ნაწარმით ვიდეო-რგოლის გადასაღებად.	მოხდება ვიდეო-რგოლის გადაღება, რომელიც გააცნობს მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს და ადგილობრივ ნაწარმს შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარს.

			პოტენციალის უკეთ წარმოჩენის მიზნით გადაღებული ვიდეო მასალა.		
6. ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოწყობა-რეაბილიტაცია	4/2020-10 /2020	მომზადდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.	დაიგეგმა ასფალტის საფარი ცენტრალური გზიდან მუზეუმის მისასვლელამდე	მოეწყობა საგზაო ნიშან-მაჩვენებლები	მთლიანად მოეწყობა მუზეუმთან მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურა
7. ტურიზმის სფეროში მომსახურე პერსონალის გადამზადება	04/2020-01/2021	გამოიყოფა ფართი, განისაზღვრება სატრენინგო თემები და შედგება ტრენინგის გეგმა-გრაფიკი	შეირჩევა ფოკუს-ჯგუფები, განისაზღვრება კონკრეტულად მოთხოვნადი სპეციალობები ტურიზმის სფეროში, რომელის საჭიროებს გადამზადებას	მოწვევები იქნებიან ტრენინგისათვის ტრენერები ან ტურიზმის სფეროში მოღვაწე გამოცდილი სპეციალისტები	15 მონაწილისაგან შემდგარი ჯგუფი გადამზადდება ტურიზმის მომსახურეობის სფეროში
8. „არწივის ხეობის“ გადმოსახედის მოწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ახალი მარშრუტის ლოკაციისათვის	01/2020-01/2021	ხეობის ტერიტორიაზე შეირჩევა სპეციალური ადგილი პანდუსის და გადმოსახედის მოსაწყობად	ლოკაციის ადგილზე მოხდება „ბერდვოთჩინგის“ ბილიკისთვის მარკირება.	მოეწყობა ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო ბანერები და ნიშან-მაჩვენებლები.	გაიხსნება ახალი მარშრუტი და მიღებული იქნება პირველი ვიზიტორთა ჯგუფი.
9. საინვესტიციო მიმართულებით შესაძლებლობების განვითარება და საინვესტიციო პორტფელის მომზადება	11/2019-11/2020	შეირჩევა მუნიციპალიტეტის თანამშრომლები აღნიშნული საქმიანობისთვის	სასწავლო პროგრამაში ჩართვა საინვესტიციო პაკეტების მომზადების მიზნით.	ჯგუფი მოამზადებს საინვესტიციო წინადადებებისა და შეთავაზებების სრულ პაკეტს ინვესტორებისათვის	პაკეტი მზად იქნება დაინტერესებული ინვესტორისათვის.
10. კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელთათვის, სასწავლო-სამუშაო შეხვედრების ჩატარება	5/2020-11/2020	გამოიყოფა ფართი, განისაზღვრება სატრენინგო თემები და შედგება ტრენინგის/ვიზიტების გეგმა-გრაფიკი.	შეირჩევა ადგილები/მეურნეობები სადაც საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად და გამოცდილების გაზიარების მიზნით	ჩატარდება სასწავლო-სამუშაო შეხვედრები	დაახლოებით 20 მონაწილე გაეცნობა საუკეთესო პრაქტიკას სამეწარმეო მიმართულებით, აიმაღლებს ცოდნას და გაიუმჯობესებს უნარებს კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობისათვის.

			მოხდება შერჩეულ მონაწილეთა ვიზიტი		
11. საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის ჩატარება	11/2019-05/2020	რეგიონალური სამუშაო ჯგუფის შედგენა	ინვესტიციების მოზიდვის მიზნით სამუშაო ჯგუფში ჩართვა და თანამშრომლობა კერძო სექტორთან	ფორუმის საორგანიზაციო საკითხებში ჩართულობა ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის მიზნით.	ჩატარდება ფორუმი და მოხდება პოტენციური ინვესტორებისათვის არსებული საპროექტო წინადადებების შეთავაზება.
12. აგროსექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება, აგროსექტორის ხელშეწყობა, დარგის სპეციალისტების გადამზადება.	05/2020-11/2020	გამოიყოფა ფართი, განისაზღვრება სატრენინგო თემები და შედგება ტრენინგის გეგმა-გრაფიკი.	შეირჩევა ფოკუს-ჯგუფები, განისაზღვრება კონკრეტულად მოთხოვნილი სპეციალობები აგრო-სექტორში, რომელიც საჭიროებს გადამზადებას.	მოწვეული იქნება ტრენინგისათვის ტრენერი ან აგრო სფეროში მოღვაწე გამოცდილი სპეციალისტები	20 მონაწილისაგან შემდგარი ჯგუფი გადამზადდება აგრო სექტორის შესაბამის სპეციალობებში.